ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4411463

ნომერი: AR1666271

თარიღი : 06.03.2019

გაცემის თარიღი : 13.03.2019

გაცნობის თარიღი : 14.03.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 6 მარტის NAR1666271განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში (ს/კ N01.72.14.035.762) მრავალფუნქციური კომპლექსის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადობრივ საქმიან ზონა -1-ში (სსზ-1). აღნიშნულ ზონაში მრავალფუნქციური შენობის შემადგენელი მრავალბინიანი ფუნქციური დანიშნულების განთავსებას ესაჭიროება სპეციალური ზონალური შეთანხმება. ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემულია მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2763 განკარგულება მრავალბინიანი კომპლექსის განსათავსებლად, კ-2-ის გადამეტების მიზნით, საკითხი უნდა დააყენოთ მერის ბრძანებაში ცვლილების შეტანის კუთხით, ფუნქციის (მრავალფუნქციური) დაფიქსირებით. რისთვისაც განცხადება უნდა ატვირთოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საიტზე Urban.gov.ge. შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.